თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5517124

ნომერი: AR1838368

თარიღი : 16.07.2021

გაცემის თარიღი : 23.07.2021

გაცნობის თარიღი : 27.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჰაქან იავუზ პ/ნ 01092000976
- თბილისი კასპის ქ. N 3ა ბ. 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: განმარტეთ საპროექტო ობიექტის ზუსტია ფუნქცია, დანიშნულება.
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოსადგენია უახლესი სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, შორი და ახლო ხედებით, რეალური გადაღების თარიღის დაფიქსირებით.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დაიტანეთ საპროექტო შეობებს შორის დაშორება და დაშორების შესაბამისი მანძილები. განათავსების სქემაზე დაიტანეთ საპროექტო შენოებებსა და საკადასატრო საზღვრებს შორის მანძილები, გაითვალისწინეთ, რომ დაცული იქნას მიჯნის ზონა.
ასევე განმარტეთ არსებული რკინის კონსტრუქციების შესახებ ინფორმაცია, ხდება თუ არა მისი დემონტაჟი (ან სამშენებლოდ გამოყენება). თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით საპროექტო არეალს წარმოადგენს არსებული 11/1 შენობის ადგილი, ზუსტად განმარტეთ ინფორმაცია ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ და წარმოადგინეთ შესაბამისი განთავსების სქემა.
დაცული იქნას სერვიტუტი.
-საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №44 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, კერძოდ ზემოაღნიშნული ცვლილებით, 22-ე მუხლი 61 მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, 60 მ2 -მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის ან/და გრუნტის ზედაპირიდან 2,2 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის ახალი მშენებლობისას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შეტყობინებას თან უნდა დაერთოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით. განგიმარტავთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სქემა სამსახურის მიერ გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა თქვენ მიერ უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ხოლო საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.
-საპროექტო ობიექტის ფუნქციის გათვალისწინებით საჭიროებისამებრ წარმოდგენილ იქნას / წარმოსადგენი გექნებათ 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით; წარმოდგენილი იქნას საპროექტო და არსებული ჭრილის ნახაზი, ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით, ნახაზზე დეტალურად ინქას მითითებული ზომები და ნიშნულები. ნახაზზე ასევე ნაჩვენები იქნას კარის ზღურბლიც და დაცული იქნას ზემოთ ხსენებული სტანდარტებით გათვალისწინებული მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე; აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოეწყოს პანადუსის მოაჯირებიც; დაცული იქნას მისაწვდომობის სტანდარტები (მინიმალური გასავლელის სიგანეები).
-საპროექტო ნაკვეთის სიახლოვეს/მიმდებარედ ფიქსირდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

ვინაიდან ამ ეტაპზე სამსახური საკითხს სრულად ვერ განიხილავს და სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს, შესაბამისი ინფორმაციის დაზუსტებისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხის ხელახლა განხილვისას, მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობისა და ახალი გარემოებების გათვალისწინებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ

წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.